მარქსის თეორიის ავსტრიული კრიტიკა: ექსპლუატაცია თუ ნებაყოფლობითი გაცვლა?

ავტორი: ლუკა გუბელიძე

სარჩევი

შესავალი ... 3

ღირებულების სუბიექტური ბუნება: მენგერის კრიტიკა ... 4

შრომის რაოდენობა და ბაზრის მოთხოვნა ... 6

დრო, კაპიტალი და ბემ-ბავერკის არგუმენტი ... 7

მეწარმეობა როგორც აღმოჩენის პროცესი ... 9

Surplus value-ის საკითხი ... 11

ეკონომიკური კალკულაციის პრობლემა: მიზესის არგუმენტი ... 13

ჰაიეკის არგუმენტი: გაფანტული ცოდნა ... 16

საკუთრება და გადაწყვეტილების მიღების პრობლემა ... 19

ექსპლუატაცია და ნებაყოფლობითი გაცვლა: როთბარდის კრიტიკა ... 21

კაპიტალი და პროდუქტიულობა ... 24

კაპიტალის კონცენტრაცია და კრეატიული დესტრუქცია ... 26

კლასობრივი ანალიზის შეზღუდვები ... 28

ეკონომიკური კრიზისები ... 29

მომხმარებელი და ფასების როლი ინფორმაციის გადაცემაში ... 31

საკუთრება, პასუხისმგებლობა და გადაწყვეტილების მიმღები ... 33

დასკვნითი მიმოხილვა ... 36

ბიბლიოგრაფია ... 43

შესავალი

მარქსიზმის კრიტიკისას ყურადღება ხშირად მარქსის მიერ კაპიტალიზმისთვის მიწერილ მორალურ შეფასებებზე გადადის: კაპიტალისტი წარმოდგენილია როგორც ექსპლუატატორი, მუშაკი, როგორც ექსპლუატირებული, მოგება განიხილება როგორც მითვისებული შრომის პროდუქტი, ხოლო კაპიტალიზმის განვითარება, მარქსის აზრით, საბოლოოდ კაპიტალის კონცენტრაციამდე, კლასობრივ დაპირისპირებამდე და სისტემის თვითგანადგურებამდე უნდა მივიდეს. თუმცა მარქსიზმის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა მისი მორალური შეფასებები კი არა, არამედ მისი ეკონომიკური თეორიის საფუძვლებია.

თუ ღირებულების წარმოშობა თავად არასწორად არის ახსნილი, თუ შრომა ვერ გამოდგება საქონლის ღირებულების უნივერსალურ საზომად, თუ მოგება ავტომატურად არ წარმოადგენს მუშაკისგან მითვისებულ ღირებულებას, თუ კაპიტალის შემოსავალს დროით პრეფერენციასა და გაურკვევლობასთან დაკავშირებული საფუძვლები აქვს, თუ საბაზრო ფასები ეკონომიკური კალკულაციისთვის აუცილებელია და თუ ცენტრალურ დამგეგმავს არ შეუძლია ეკონომიკაში გაფანტული ცოდნის საკუთარ თავში თავმოყრა, მაშინ მარქსის მიერ კაპიტალიზმის კრიტიკის დიდი ნაწილი საფუძველს კარგავს. სწორედ აქედან უნდა დაიწყოს მარქსის თეორიის კრიტიკა.

ღირებულების სუბიექტური ბუნება: მენგერის კრიტიკა

მარქსის ეკონომიკური სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი საყრდენი შრომითი ღირებულების თეორიაა, რომლის მიხედვითაც საქონლის ღირებულება განისაზღვრება იმ სოციალურად აუცილებელი შრომის რაოდენობით, რომელიც მისი წარმოებისთვისაა საჭირო. აქ ჩნდება მარტივი, მაგრამ ფუნდამენტლურიური კითხვა: რატომ უნდა განსაზღვრავდეს საქონლის ღირებულებას მასზე დახარჯული შრომის რაოდენობა? ადამიანს შეიძლება ნივთის დასამზადებლად ათი საათი დასჭირდეს, მაგრამ ეს ავტომატურად არ ნიშნავს, რომ ეს ნივთი ათსაათიანი შრომის ეკონომიკურ ღირებულებას ატარებს.

წარმოვიდგინოთ ადამიანი, რომელიც ათი საათის განმავლობაში ისეთ ნივთს ამზადებს, რომელიც არავის სჭირდება. მისი შრომა ნამდვილად დაიხარჯა, ის დაიღალა და წარმოებაზე დრო და ენერგია გასწირა, მაგრამ რატომ უნდა ჰქონდეს ამ ნივთს მაღალი ეკონომიკური ღირებულება მხოლოდ დახარჯული შრომის მოცულობის გამო? თუ მომხმარებელი პროდუქტს საერთოდ არ აფასებს, დახარჯული შრომა ვერ შექმნის იმ მოთხოვნას, რომელიც პროდუქტს ეკონომიკურ ღირებულებას მიანიჭებდა.

აქ იკვეთება კარლ მენგერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განსხვავება მარქსის თეორიისგან: ღირებულება არ არის ნივთის შიგნით არსებული ობიექტური თვისება, არამედ ის ადამიანის შეფასებიდან წარმოიქმნება. ადამიანი გარკვეულ საქონელს იმიტომ აფასებს, რომ მას საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებად მიიჩნევს, და სწორედ

ამიტომ ერთი და იმავე ნივთის ღირებულება სხვადასხვა ადამიანისთვის და სხვადასხვა სიტუაციაში სრულიად განსხვავებული შეიძლება იყოს.

წყალი ჩვეულებრივ ქალაქში, სადაც სასმელი წყალი თითქმის ყველგან ხელმისაწვდომია, დაბალ ფასად ფასობს, მაშინ როცა იგივე წყალი უდაბნოში მყოფი ადამიანისთვის სიცოცხლის ტოლფასი შეიძლება იყოს. წყლის ფიზიკური თვისებები არ შეცვლილა, შეიცვალა ადამიანის მდგომარეობა, მისი საჭიროება და ის მნიშვნელობა, რომელსაც ის წყალს ანიჭებს. ეს მნიშვნელოვანია, რადგან თუ ღირებულება სუბიექტურია, მისი ახსნა მხოლოდ წარმოებაში დახარჯული შრომის რაოდენობით შეუძლებელია. შრომა შეიძლება იყოს წარმოებისთვის აუცილებელი, მაგრამ ის არ არის საკმარისი იმისთვის, რომ საბოლოო პროდუქტს კონკრეტული ღირებულება მიანიჭოს.

შრომის რაოდენობა და ბაზრის მოთხოვნა

ეს პრობლემა კიდევ უფრო ნათლად ჩანს ორი პროდუქტის შედარებისას. ვთქვათ, ერთი პროდუქტის დამზადებას ერთი საათი სჭირდება, მეორეს, ათი. მარქსის თეორიის ინტერპრეტაციით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მეორე პროდუქტი უფრო ღირებულია, რადგან მასში მეტი შრომაა გაღებული. მაგრამ რეალურ ბაზარზე შედეგი შეიძლება საპირისპირო აღმოჩნდეს: პირველი პროდუქტი მილიონობით ადამიანს შეიძლება სჭირდებოდეს, მეორე კი, თითქმის არავის, და პირველის ფასი შეიძლება მეორისას ათჯერ აღემატებოდეს.

ამრიგად, ეკონომიკური ღირებულება ვერ აიხსნება მხოლოდ საქონელზე დახარჯული შრომის რაოდენობით. რეალური პრობლემა ისაა, რომ წარმოება საბოლოოდ მომხმარებლის მოთხოვნილებას უნდა მოერგოს. ადამიანმა შეიძლება რაღაცის წარმოებაზე უზარმაზარი რესურსი დახარჯოს, მაგრამ თუ მომხმარებელი ამ პროდუქტს საკმარისად არ აფასებს, ეს რესურსი არასწორადაა გამოყენებული. სწორედ ამიტომ მეწარმის ამოცანა არ არის უბრალოდ „რაც შეიძლება მეტი პროდუქტის წარმოება“, მისი ამოცანაა ისეთი პროდუქტის შექმნა, რომელსაც მომხმარებელი საკმარისად ძვირად შეაფასებს.

დრო, კაპიტალი და ბემ-ბავერკის არგუმენტი

აქ ჩნდება ბემ-ბავერკის კრიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი. წარმოება დროში მიმდინარეობს: ადამიანი დღეს ხარჯავს რესურსებს იმისთვის, რომ პროდუქტი მომავალში მიიღოს. ხშირად ამ პროცესს წლები სჭირდება, ქარხნის ან ხიდის აშენებას, ან ახალი ტექნოლოგიის შესაქმნელად საჭირო ინვესტიციასა და კვლევას. მუშაკს კი, ამის საპირისპიროდ, ანაზღაურება ხშირად დღესვე სჭირდება.

აქ იკვეთება განსხვავება დღევანდელ და მომავალ საქონელს შორის. თუ ვინმე დღეს იღებს 2000 ლარს, ეს მისთვის იმავეს არ ნიშნავს, რასაც ათი წლის შემდეგ მისაღები 2000 ლარი. ადამიანებს, როგორც წესი, დროითი პრეფერენცია აქვთ: აწმყო საქონელს მომავალში მისაღებ იმავე საქონელზე მაღლა აფასებენ. ამიტომ წარმოებას დროითი სტრუქტურა გააჩნია, კაპიტალისტი დღეს აბანდებს რესურსებს და მომავალ შედეგს ელოდება. ის დღეს იხდის ხელფასს, ყიდულობს ნედლეულს, ქირაობს სივრცეს, ყიდულობს ტექნიკას და იღებს ვალდებულებებს, მაშინ როცა საბოლოო პროდუქტი მხოლოდ მომავალში გაიყიდება. მუშაკი კი, ამის საპირისპიროდ, ხშირად შემოსავალს პროდუქტის საბოლოო გაყიდვამდე იღებს. ამიტომ ხელფასსა და პროდუქტის საბოლოო გასაყიდ ფასს შორის განსხვავება ავტომატურად მუშაკის ექსპლუატაციას არ ნიშნავს, კაპიტალისტი შეიძლება უბრალოდ იღებდეს დღევანდელი რესურსის გამოყენების შედეგად მომავალში მისაღები შემოსავლის რისკს.

აქ ჩნდება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი კითხვა: ვინ იღებს ზარალს? დავუშვათ, კაპიტალისტმა შექმნა საწარმო, დახარჯა მილიონები,

გადაუხადა მუშაკებს ხელფასი, იყიდა დანადგარები და ნედლეული, მაგრამ საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ მომხმარებელს პროდუქტი არ სჭირდება. მუშაკებმა ხელფასი უკვე მიიღეს, მაგრამ ჩადებული კაპიტალი კაპიტალისტმა დაკარგა. თუ პროექტი ჩავარდა, მუშაკს შესაძლოა მხოლოდ სამსახურის დაკარგვის რისკი ჰქონდეს, მფლობელს კი შეიძლება მთელი კაპიტალი დაეკარგოს. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ მუშაკის რისკი უმნიშვნელოა, თუმცა ეკონომიკური ურთიერთობის სრული აღწერა ფორმულით „მუშაკი ქმნის ღირებულებას, კაპიტალისტი კი მას ითვისებს“ აშკარად არასაკმარისია.

კაპიტალისტი გადაწყვეტილებას გაურკვევლობის პირობებში იღებს: მან წინასწარ არ იცის, როგორი იქნება მოთხოვნა, როგორ შეიცვლება ტექნოლოგია, რა იქნება ფასები, რამდენად წარმატებული იქნება პროდუქტი და როგორი იქნება კონკურენცია. ამიტომ მოგება ყოველთვის არ არის სხვისი შრომისგან ამოღებული თანხა, ის შეიძლება იყოს სწორი მეწარმეობრივი გადაწყვეტილების შედეგი, ისევე როგორც ზარალი შეცდომის შედეგია.

მეწარმეობა როგორც აღმოჩენის პროცესი

ეს გვაახლოებს მეწარმეობის საკითხთან. მარქსისტულ ანალიზში ეკონომიკური ურთიერთობები ხშირად მუშაკსა და კაპიტალისტს შორის დაპირისპირებადაა წარმოდგენილი, მაგრამ რეალურ ეკონომიკაში არსებობს მესამე, არანაკლებ მნიშვნელოვანი განზომილება, მეწარმეობა. მეწარმე არ არის უბრალოდ ადამიანი, რომელიც „ფლობს კაპიტალს"; ის იღებს გადაწყვეტილებებს გაურკვევლობის პირობებში და ცდილობს აღმოაჩინოს ისეთი შესაძლებლობები, რომლებიც სხვებმა ვერ დაინახეს.

სწორედ ამას უსვამს ხაზს კირცნერის მეწარმეობის თეორია.

დავუშვათ, ერთ ბაზარზე პროდუქტი 5 ლარი ღირს, მეორეზე, 8 ლარი. ვიღაც ამ განსხვავებას ამჩნევს, ყიდულობს იქ, სადაც იაფია, და ყიდის იქ, სადაც ძვირია. მისი მოგება ვინმეს ექსპლუატაციის აუცილებელი შედეგი კი არაა, არამედ იმ შესაძლებლობის აღმოჩენა, რომელიც მანამდე სრულად გამოყენებული იყო. იგივე ეხება ახალ პროდუქტებსაც: მეწარმე შეიძლება მიხვდეს, რომ მომხმარებელს რაღაც სჭირდება, რაც ბაზარზე ჯერ არ არსებობს. თუ პროდუქტს შეიძენენ, ის მოგებას მიიღებს; თუ არა, ზარალს. ეს არის ბაზრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია, აღმოჩენა. ბაზარმა წინასწარ არ იცის ყველა პასუხი; მეწარმეები ცდიან სხვადასხვა შესაძლებლობას, ზოგი წარმატებას აღწევს, ზოგი მარცხდება, ხოლო მოგება და ზარალი ამ პროცესის უკუკავშირის მექანიზმია.

ამიტომ კონკურენცია არ არის მხოლოდ კაპიტალისტების ბრძოლა მუშაკების ექსპლუატაციისთვის, ის მეწარმეების ბრძოლაა მომხმარებლისთვის. მათ უნდა შესთავაზონ უკეთესი პროდუქტი, დაბალი

ფასი, უკეთესი მომსახურება ან ისეთი პროდუქტი, რომელიც აქამდე საერთოდ არ არსებობდა. საბოლოო არჩევანს მომხმარებელი აკეთებს: თუ პროდუქტი არ მოსწონს, არ ყიდულობს; თუ კომპანია ზედმეტად ძვირად ყიდის, კონკურენტთან გადადის. ამიტომ ბაზარზე ძალაუფლება მხოლოდ კაპიტალისტის ხელში არ არის, მომხმარებელიც ფლობს გარკვეულ ძალაუფლებას, ვინაიდან სწორედ მისი არჩევანი განსაზღვრავს, რომელი პროდუქტი იქნება მოთხოვნადი.

Surplus value-ის საკითხი

აქვე ჩნდება surplus value-ის საკითხი. მარქსის მიხედვით მუშაკი კაპიტალისტზე ყიდის შრომის ძალას; კაპიტალისტი უხდის მისი შრომის ძალის ღირებულებას, მაგრამ მუშაკი წარმოებაში ქმნის უფრო მეტ ღირებულებას, ვიდრე ხელფასის სახით იღებს, ამ სხვაობას წარმოადგენს surplus value, რომელსაც კაპიტალისტი ითვისებს. ეს

მსჯელობა პრობლემურია, რადგან იგი ისევ ღირებულების ობიექტურ კონცეფციას ეყრდნობა. თუ საბოლოო პროდუქტის ღირებულება მომხმარებლის შეფასებაზეა დამოკიდებული, შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ მუშაკმა შექმნა გარკვეული „ობიექტური ღირებულება", რომლის ნაწილიც კაპიტალისტმა მიითვისა.

დავუშვათ, მუშაკი ერთი საათის განმავლობაში ამზადებს პროდუქტს, რომელიც ბაზარზე 100 ლარად იყიდება. რატომ უნდა ვთქვათ, რომ მუშაკმა

ზუსტად 100 ლარის ღირებულება შექმნა? პროდუქტის წარმოებაში მონაწილეობდა ქარხანა, მანქანა, ელექტროენერგია, ნედლეული, პროგრამული უზრუნველყოფა, ტრანსპორტი, ლოჯისტიკა, მენეჯმენტი, ცოდნა და კაპიტალი, ხოლო გასაყიდი ფასი საბოლოოდ მომხმარებლის მოთხოვნაზეა დამოკიდებული. თუ პროდუქტი ვერ გაიყიდა, მასზე დახარჯული შრომა ავტომატურად ვერ გარდაიქმნება სასურველ საბაზრო ღირებულებად.

აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წარმოების ფაქტორების ურთიერთქმედება. წარმოება მხოლოდ მუშაკის შრომას არ წარმოადგენს, არამედ სხვადასხვა რესურსის კომბინაციაა: მუშაკის შრომა შეიძლება

აუცილებელი იყოს, მაგრამ მანქანის გარეშე მისი პროდუქტიულობა გაცილებით დაბალია; მანქანა შეიძლება აუცილებელი იყოს, მაგრამ მუშაკის გარეშე ვერ იმუშავებს; ნედლეულის გარეშე კი ვერც მუშაკი და ვერც მანქანა შექმნის საბოლოო პროდუქტს, ხოლო მენეჯმენტი ამ ყველაფრის კოორდინაციისთვისაა საჭირო, და მეწარმე იღებს გადაწყვეტილებას, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ რესურსების გამოყენება. ამიტომ ეკონომიკური ღირებულების ერთ ფაქტორზე, კერძოდ შრომაზე, დაყვანა წარმოების რეალური სტრუქტურის გადამეტებული გამარტივებაა.

ეკონომიკური კალკულაციის პრობლემა: მიზესის არგუმენტი

აქ უკვე შეგვიძლია მივუახლოვდეთ სოციალიზმის ყველაზე ფუნდამენტურ პრობლემას, ეკონომიკურ კალკულაციას. ლუდვიგ ფონ მიზესის არგუმენტი მარქსიზმის წინააღმდეგ ერთ-ერთი ყველაზე ძლიერია. სოციალიზმის კრიტიკისას ჩვეულებრივ ამბობენ, რომ ცენტრალური დაგეგმვა არაეფექტიანია, ბიუროკრატია ცუდად მუშაობს ან სახელმწიფო მოხელეები ცუდ გადაწყვეტილებებს იღებენ, მაგრამ მიზესის არგუმენტი ამაზე ბევრად ღრმაა: მისი აზრით, სოციალიზმის ძირითადი პრობლემა თავად ეკონომიკური კალკულაციის შესაძლებლობაშია.

წარმოვიდგინოთ ეკონომიკა, სადაც ყველა ძირითადი საწარმოო საშუალება, ფოლადი, ქვანახშირი, მიწა, მანქანები, ქარხნები, ტრანსპორტი, მუშახელი და საინვესტიციო რესურსები, სახელმწიფოს ეკუთვნის. სახელმწიფომ უნდა გადაწყვიტოს, როგორ გამოიყენოს ეს ყველაფერი. ვთქვათ, არსებობს გარკვეული რაოდენობის ფოლადი, საიდანაც შესაძლებელია ხიდის აშენება, მანქანების დამზადება, რკინიგზისთვის, სამხედრო წარმოებისთვის ან საცხოვრებელი ინფრასტრუქტურისთვის გამოყენება. რომელია საუკეთესო ვარიანტი? უბრალო ტექნიკური ცოდნა საკმარისი არ არის: ინჟინერმა შეიძლება გვითხრას, რამდენი ფოლადი სჭირდება ხიდს, მაგრამ ვერ გვიპასუხებს, ეკონომიკურად უფრო გონივრულია ეს ფოლადი ხიდში დაიხარჯოს თუ მანქანების წარმოებაში. ამისთვის ეკონომიკური შედარებაა საჭირო. კაპიტალისტურ ეკონომიკაში ეს შედარება ფასების საშუალებით ხდება: ფოლადს, მანქანებს, მიწას, ქარხანასა და საწარმოო დანადგარებს ფასი აქვთ, და მეწარმე ამ ფასებს სხვადასხვა

პროექტის შესადარებლად იყენებს. მაგალითად, თუ ერთი პროექტისთვის საჭიროა 10 მილიონი ლარის რესურსი და მოსალოდნელი შემოსავალი 12 მილიონია, ხოლო მეორეს იგივე ხარჯით 15 მილიონის შემოსავალი მოაქვს, მეწარმეს შეუძლია ამ პროექტების შედარება. სოციალისტურ სისტემაში კი, სადაც წარმოების საშუალებები კერძო საკუთრებაში არ არის და მათზე თავისუფალი საბაზრო გაცვლა არ მიმდინარეობს, ჩნდება პრობლემა, საიდან უნდა გაჩნდეს ამ კაპიტალურ საქონელზე საბაზრო ფასები? სახელმწიფოს შეუძლია ფურცელზე დაწეროს, რომ ერთი ტონა ფოლადი 2000 ლარი ღირს, მაგრამ ეს უბრალოდ ადმინისტრაციული რიცხვია, თუ საბაზრო გაცვლის პროცესიდან არ არის წარმოშობილი. ფასი არ არის უბრალოდ რიცხვი, ის ინფორმაციაა, რომელიც ასახავს ადამიანების შეფასებებს, მოთხოვნას, მიწოდებას, ალტერნატიულ გამოყენებებსა და შესაძლებლობის ხარჯებს. თუ ამ პროცესს გავაუქმებთ და შემდეგ საქონელს უბრალოდ ადმინისტრაციულად მივანიჭებთ ციფრებს, იმავე ინფორმაციას ვერ მივიღებთ.

მაგალითად, თუ ფოლადის ფასი გაიზარდა, მეწარმეს არ სჭირდება ყველა მიზეზის ცოდნა, შესაძლოა, სადღაც მოპოვება შემცირდა, გაიზარდა მოთხოვნა სხვა ინდუსტრიაში, გაძვირდა ტრანსპორტირება, შეიცვალა ტექნოლოგია ან ბაზარი დატოვა რომელიმე მწარმოებელმა. მეწარმეს ამ დეტალების ცოდნა არ სჭირდება, ფასის ცვლილება მისთვის საკმარისი სიგნალია, რომ შეცვალოს ქცევა: შეამციროს ფოლადის მოხმარება, მოძებნოს შემცვლელი მასალა, გადადოს პროექტი ან ახალი მომწოდებელი მოიძიოს. ამავე დროს, სხვა მეწარმეს შეიძლება მაღალმა ფასმა დამატებითი მოგების შესაძლებლობა შესთავაზოს და წარმოების გაზრდა გადაწყვიტოს. ასე ხდება

ეკონომიკური კოორდინაცია, არავის სჭირდება მთელი ეკონომიკის ყველა დეტალის ცოდნა, რადგან ფასები ადამიანებს შესაბამის სიგნალებს გადასცემენ.

ჰაიეკის არგუმენტი: გაფანტული ცოდნა

აქ ჰაიეკის არგუმენტი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ეკონომიკური ცოდნა გაფანტულია: არ არსებობს ერთი ადამიანი ან ორგანო, რომელსაც მთელი ეკონომიკის შესახებ ყველა საჭირო ინფორმაცია გააჩნია. ფერმერმა იცის საკუთარი მიწის კონკრეტული მდგომარეობა, მძღოლმა, გზის, ინჟინერმა, საწარმოს ტექნიკური შესაძლებლობები, მეწარმემ, მომხმარებელთა სპეციფიკური მოთხოვნები, მუშაკმა, საწარმოს ყოველდღიური პრობლემები, მომხმარებელმა კი, საკუთარი საჭიროებები. ეს ცოდნა მუდმივად იცვლება: დღეს მომხმარებელს ერთი რამ სჭირდება, ხვალ, სხვა; დღეს ნედლეული იაფია, ხვალ, ძვირი; დღეს ტექნოლოგია მომგებიანია, ხვალ ახალი გამოგონება ჩნდება. ამიტომ პრობლემა არა მხოლოდ იმაშია, რომ ცენტრალურ დამგეგმავს ბევრი ინფორმაციის დამუშავება გაუჭირდება, არამედ იმაშიც, რომ ამ ინფორმაციის დიდი ნაწილი საერთოდ არ არსებობს ცენტრალური დაგეგმვის დაწყებამდე, ის უშუალოდ ბაზრის პროცესში წარმოიქმნება.

ცენტრალურ დამგეგმავს შეუძლია მოითხოვოს ანგარიშები ყველა საწარმოსგან, შექმნას გიგანტური სტატისტიკური სისტემა, გამოიყენოს სუპერკომპიუტერები თუ ხელოვნური ინტელექტი, მაგრამ მაინც ჩნდება კითხვა: რა მონაცემები უნდა დაამუშაოს ამ სისტემამ? თუ კონკრეტულ კაპიტალურ საქონელზე რეალური საბაზრო ფასები არ არსებობს, კომპიუტერი ვერ შექმნის იმ ეკონომიკურ ინფორმაციას, რომელიც საბაზრო გაცვლიდან უნდა წარმოშობილიყო, რამდენად სწრაფადაც არ უნდა ითვლიდეს, ვერ გამოთვლის იმას, რაც ეკონომიკურ პროცესს საერთოდ არ

შეუქმნია. ამდენად, ეკონომიკური კალკულაციის პრობლემა ტექნოლოგიური კი არა, ინსტიტუციური პრობლემაა.

შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს შეუძლია ბაზრის ფასები უბრალოდ გამოიყენოს, მაგრამ მაშინ ახალი პრობლემა ჩნდება: თუ სახელმწიფოსთვის საჭიროა საბაზრო ფასები იმისთვის, რომ გადაწყვიტოს, როგორ გამოიყენოს წარმოების საშუალებები, მაშინ სწორედ ის ინსტიტუტი, კერძო საკუთრება და საბაზრო გაცვლა, რომლის გაუქმებაც სოციალიზმს სურს, ისევ აუცილებელი ხდება იმ ფასების წარმოსაქმნელად, რომლებიც ცენტრალურ დამგეგმავს სჭირდება. სწორედ ამიტომ ეკონომიკური კალკულაციის პრობლემა სოციალიზმისთვის გაცილებით ღრმაა, ვიდრე უბრალოდ „სახელმწიფო ცუდი მენეჯერია“, საქმე ეხება იმას, რომ ეკონომიკური გადაწყვეტილებებისთვის საჭირო ფასების წარმოქმნას კონკრეტული ინსტიტუციური საფუძველი სჭირდება.

მიზესის არგუმენტი კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება წარმოების საშუალებებს შორის არჩევანის მაგალითზე. დავუშვათ, სახელმწიფოს ორი ალტერნატივა აქვს, ორივე ტექნიკურად შესაძლებელი და დაახლოებით თანაბარი რესურსის მომთხოვნი (100 ტონა ფოლადი, 50 მანქანა, 1000 მუშაკი), მაგრამ ერთი მათგანი ისეთ პროდუქტს აწარმოებს, რომელიც მომხმარებელს ძალიან სჭირდება, მეორე კი, ისეთს, რომელიც ნაკლებად სჭირდება. როგორ გავზომოთ ეს განსხვავება? ბაზარზე მომხმარებლის მოთხოვნა ფასებში, მოგებასა და გაყიდვებში აისახება; ცენტრალურ სისტემაში კი ეს ინფორმაცია დამგეგმავმა წინასწარ უნდა „გამოიცნოს“. ეკონომიკური სისტემა არა მხოლოდ არსებული ინფორმაციის გამოყენებას, არამედ ახალი ინფორმაციის აღმოჩენასაც მოითხოვს, რაც კირცნერის

მეწარმეობის არგუმენტთან გვაბრუნებს. მეწარმეს წინასწარ არ გააჩნია სრული ცოდნა: ის ცდის, და თუ სწორად ივარაუდა, მოგებას იღებს, თუ შეცდა, ზარალს. ასე ბაზარი მუდმივად აღმოაჩენს ინფორმაციას, რომელიც მანამდე არ არსებობდა, პროცესი, რომელიც ცენტრალურ დაგეგმვაში მნიშვნელოვნად შეიძლება შეიზღუდოს, რადგან გადაწყვეტილება წინასწარ ერთმა ცენტრმა უნდა მიიღოს.

საკუთრება და გადაწყვეტილების მიღების პრობლემა

ახლა შეგვიძლია დავუბრუნდეთ მარქსის იდეას, რომ კაპიტალისტური წარმოების საშუალებები საზოგადოებრივ საკუთრებაში უნდა გადავიდეს. თუ კერძო ქარხანა სახელმწიფომ გადაიბარა, მას მართავს, წარმოების გეგმას განსაზღვრავს, ინვესტიციასა და პროდუქტის ტიპს წყვეტს, საწარმოთა გაფართოებასა თუ დახურვაზე გადაწყვეტილებას იღებს ბიუროკრატია. სიტყვა „საზოგადოება" ამ პრობლემას არ აგვარებს, საზოგადოება თავად არ იღებს კონკრეტულ გადაწყვეტილებებს; გადაწყვეტილებებს ყოველთვის კონკრეტული ადამიანები იღებენ. კერძო მფლობელის გაუქმება ავტომატურად არ ნიშნავს, რომ რესურსები „ყველას" მიერ ერთობლივად იმართება, ის უბრალოდ ნიშნავს, რომ საბოლოო გადაწყვეტილების უფლება სხვა ადამიანების ხელში გადადის. თუ ეს ადამიანები სახელმწიფო ბიუროკრატები არიან, საკუთრების ფორმა შეიცვალა, მაგრამ სიმცირის, არჩევანისა და კონფლიქტის პრობლემა არ გამქრალა.

აქ ჰოპეს საკუთრების არგუმენტიც მნიშვნელოვანია: რესურსები შეზღუდულია, ადამიანებს განსხვავებული მიზნები აქვთ, ამიტომ რესურსების გამოყენებაზე კონფლიქტის შესაძლებლობა ყოველთვის არსებობს. ორმა ადამიანმა შეიძლება ერთი და იმავე მიწის გამოყენება სხვადასხვა მიზნით მოინდომოს, ერთმა საცხოვრებლად, მეორემ სოფლის მეურნეობისთვის. თუ საკუთრების მკაფიო უფლება არ არსებობს, ვინ უნდა გადაწყვიტოს? საკუთრების ინსტიტუტი მხოლოდ „კაპიტალისტის პრივილეგია" არაა, ის პასუხობს კითხვას, თუ ვის აქვს უფლება გადაწყვიტოს რაში გამოიყენებს კონკრეტული რესურსს. თუ ეს უფლება კერძო

მესაკუთრეს აქვს, არსებობს კონკრეტული გადაწყვეტილების მიმღები; თუ კერძო საკუთრება გაუქმებულია, გადაწყვეტილების მიმღები მაინც საჭიროა. ამრიგად, „საზოგადოებრივი საკუთრება“ თავისთავად არ აქრობს საკუთრების კონტროლის პრობლემას, ის მხოლოდ ცვლის იმას, თუ ვის ხელშია საბოლოო გადაწყვეტილება.

ექსპლუატაცია და ნებაყოფლობითი გაცვლა: როთბარდის კრიტიკა

როთბარდის კრიტიკასთან სწორედ აქ მივდივართ. თუ საკუთრება ლეგიტიმურად არის შეძენილი და მისი გამოყენება სხვა ადამიანების წინააღმდეგ ძალის გამოყენებას არ გულისხმობს, მხოლოდ ის ფაქტი, რომ მესაკუთრე სხვაზე მდიდარია, ექსპლუატაციას არ ამტკიცებს, ექსპლუატაციის ცნება უთანასწორობისგან უნდა განვასხვავოთ. ორ ადამიანს შორის ეკონომიკურად ძალიან განსხვავებული მდგომარეობა შეიძლება არსებობდეს ისე, რომ არც ერთი მათგანი მეორის მიმართ აგრესიას არ იყენებდეს. მაგალითად, ერთს ქარხანა აქვს, მეორეს, სამუშაო ძალა; თუ ისინი სამუშაო პირობებზე ნებაყოფლობით შეთანხმდებიან, ერთი მხარე საკუთარ შრომას ყიდის, მეორე კი ყიდულობს მას. მათი მოლაპარაკების ძალა შეიძლება თანაბარი არ იყოს, ერთს შესაძლოა უფრო მეტად სჭირდებოდეს სამუშაო, მაგრამ ეს თავისთავად არ ნიშნავს, რომ მეორე მას ექსპლუატაციას უწევს. ეკონომიკური საჭიროება და ფიზიკური იძულება ერთმანეთისგან განსხვავდება: თუ ადამიანი სამსახურს მხოლოდ იმიტომ იღებს, რომ ფული სჭირდება, ეს არ ნიშნავს, რომ დამსაქმებელმა მასზე ძალადობა განახორციელა. ადამიანს შეიძლება საერთოდ არ მოსწონდეს არსებული ალტერნატივები, მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ ყველა არასასურველი არჩევანი იძულებითია.

ეს მნიშვნელოვანია მარქსის „თავისუფალი შრომითი ხელშეკრულების“ კრიტიკისთვისაც. თუ ადამიანი საკუთარ შრომას ყიდის, ის საკუთარ შრომით ძალაზე კონტროლს დროებით, კონკრეტული

პირობებით გადასცემს სხვას, მაგრამ ეს ხელშეკრულება არ ნიშნავს, რომ მუშაკი დამსაქმებლის საკუთრება ხდება. მას შეუძლია სამსახური დატოვოს, დამსაქმებელს, კონტრაქტი შეწყვიტოს; ორივე მხარე საკუთარი მიზნების უკეთ მიღწევას ცდილობს, და კონკურენცია ორივეს ზღუდავს.

ხშირად გვხვდება მოსაზრება, რომ თუ კაპიტალისტი მოგებას იღებს, მუშაკი აუცილებლად იმავე ოდენობით კარგავს. ეს ნულოვანი ჯამის ეკონომიკის წარმოდგენაა, თუმცა გაცვლა ორივე მხარისთვის სასარგებლო შეიძლება იყოს. თუ ადამიანი პროდუქტში 1000 ლარს იხდის, ეს არ ნიშნავს, რომ მან 1000 ლარის ღირებულება დაკარგა, ის პროდუქტს 1000 ლარზე მეტად აფასებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში გაცვლაზე არ დათანხმდებოდა, ხოლო გამყიდველისთვის, პირიქით, 1000 ლარი იმ მომენტში პროდუქტის შენარჩუნებაზე ღირებული იყო. ამრიგად, ნებაყოფლობითი გაცვლა ორივე მხარის მდგომარეობას აუმჯობესებს, ეს არის ერთ-ერთი ძირითადი განსხვავება ეკონომიკას, როგორც ნებაყოფლობითი გაცვლის პროცესს, და ნულოვანი ჯამის თამაშის წარმოდგენას შორის.

იგივე ლოგიკა შრომის ბაზარზეც მოქმედებს: მუშაკს შეიძლება ურჩევნოდეს 2000-ლარიანი ხელფასი იმავე კომპანიაში მუშაობის გარეშე დარჩენას, დამსაქმებელს კი, მუშაკის 2000 ლარად დაქირავება მის გარეშე წარმოებას. ორივე მხარე იმას იღებს, რასაც იმ მომენტში მეტად აფასებს, ამიტომ ხელშეკრულება თავისთავად ექსპლუატაციის მტკიცებულება არ არის. რა თქმა უნდა, არსებობს არაკეთილსინდისიერი დამსაქმებელი, თაღლითობა, იძულება თუ სახელმწიფოს მიერ შექმნილი მონოპოლიური პრივილეგია, მაგრამ ეს უკვე სხვა საკითხია. ნებაყოფლობითი საბაზრო

ურთიერთობა და ძალადობაზე დაფუძნებული ურთიერთობა ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ.

კაპიტალი და პროდუქტიულობა

ახლა კაპიტალის საკითხს დავუბრუნდეთ. მარქსისტულ კრიტიკაში კაპიტალი ხშირად წარმოჩენილია როგორც მუშაკის წინააღმდეგ მიმართული ძალა, თუმცა კაპიტალი ამავე დროს ზრდის მუშაკის პროდუქტიულობას. წარმოვიდგინოთ ორი მუშაკი: პირველი ხელით მუშაობს და საათში ერთ პროდუქტს ქმნის, მეორე თანამედროვე მანქანას იყენებს და საათში ათს. ეს განსხვავება არა უბრალოდ „მეტი შრომის“, არამედ უკეთესი კაპიტალის გამოყენების შედეგია, იგივე ადამიანი, იგივე დრო, იგივე ფიზიკური ენერგია შეიძლება გაცილებით პროდუქტიული გახდეს. ამიტომ კაპიტალის დაგროვება მუშაკის შრომის პროდუქტიულობის ზრდის წყარო შეიძლება იყოს: რაც უფრო მეტი კაპიტალია ერთ მუშაკზე, მით უფრო დიდი შეიძლება იყოს მისი ანაზღაურება. კაპიტალის ზრდა და მუშაკის კეთილდღეობა, ამრიგად, არა აუცილებელი დაპირისპირების, არამედ ხშირად ურთიერთდაკავშირებული პროცესებია.

ეს განსაკუთრებით ხელფასების ასახსნელად არის მნიშვნელოვანი. დამსაქმებელი მუშაკს არა უბრალოდ იმიტომ უხდის ხელფასს, რომ „მისი შრომის ღირებულება“ არსებობს, არამედ იმის მიხედვით, თუ რა დამატებით შემოსავალს მოუტანს კომპანიას კონკრეტული მუშაკი. თუ მუშაკის შრომა მნიშვნელოვან დამატებით შემოსავალს ქმნის, დამსაქმებელს უფრო მაღალი ხელფასის გადახდის შესაძლებლობა აქვს; დაბალი პროდუქტიულობის შემთხვევაში მაღალი ხელფასი წამგებიანი ხდება. ამიტომ კაპიტალის

დაგროვება, ტექნოლოგიური პროგრესი და პროდუქტიულობის ზრდა ხელფასების ზრდასთან პირდაპირ შეიძლება იყოს დაკავშირებული.

კაპიტალის კონცენტრაცია და კრეატიული დესტრუქცია

მარქსის კაპიტალის კონცენტრაციის პროგნოზიც სერიოზულ კითხვებს აჩენს. მარქსის მიხედვით, კონკურენცია კაპიტალისტებს აიძულებს მუდმივად დააგროვონ კაპიტალი და გაზარდონ მასშტაბი, რის შედეგადაც მცირე კაპიტალისტები დიდების მიერ განიდევნებიან და კაპიტალი სულ უფრო მცირე რაოდენობის ადამიანების ხელში კონცენტრირდება. მაგრამ ბაზარი სტატიკური არ არის: დღევანდელი გიგანტი ხვალ შეიძლება აღარ არსებობდეს, ტექნოლოგიური ცვლილება მუდმივად ანადგურებს ძველ ბიზნესმოდელებს, ხოლო ახალი კომპანია შეიძლება თითქმის არაფრიდან გაჩნდეს და ძველ გიგანტს კონკურენცია გაუწიოს. კაპიტალისტურ ეკონომიკაში კაპიტალი კონკურენციისგან ავტომატურად დაცული არ არის, პირიქით, კონკურენცია მუდმივად ემუქრება არსებულ კომპანიებს.

აქ შუმპეტერის „კრეატიული დესტრუქციის“ იდეაც მნიშვნელოვანია: კაპიტალიზმი მუდმივად ანადგურებს ძველს და ქმნის ახალს, ახალი ტექნოლოგია, პროდუქტი, კომპანია და ბიზნესმოდელი ცვლის ძველს. ეს პროცესი ყოველთვის სასიამოვნო არ არის, ზოგი ადამიანი კარგავს სამუშაოს, ზოგი კომპანია კოტრდება, ზოგი ინდუსტრია ქრება, მაგრამ ამავე დროს იქმნება ახალი შესაძლებლობები. თუ ძველი ტექნოლოგიის დამცველებს მუდმივად დავიცავთ კონკურენციისგან, შეიძლება თავად პროგრესი შევაფერხოთ. კაპიტალიზმის არსი, ამრიგად, არა არსებული კაპიტალისტების მარადიულ გამდიდრებაშია, არამედ მუდმივ ცვლილებაში.

მარქსის პროგნოზი კაპიტალისტური სისტემის თვითგანადგურების შესახებ კიდევ ერთ პრობლემას ავლენს: თუ კაპიტალიზმი აუცილებლად უნდა მიდიოდეს კაპიტალის სულ უფრო მცირე

რაოდენობის კაპიტალისტის ხელში კონცენტრირებისკენ, კონკურენციის, ახალი მეწარმეების, ტექნოლოგიებისა და

კაპიტალის წარმოშობის შესაძლებლობა სათანადოდ არაა გათვალისწინებული. ბაზარი მუდმივად ქმნის ახალ მონაწილეებს, მომხმარებელი მუდმივად ცვლის მოთხოვნას, ტექნოლოგია, წარმოების სტრუქტურას, ხოლო მეწარმეები მუდმივად ცდილობენ არსებული კომპანიების ჩანაცვლებას. ეკონომიკა, ამრიგად, მუდმივ მოძრაობაშია.

კლასობრივი ანალიზის შეზღუდვები

მარქსიზმის კიდევ ერთი პრობლემა მისი კლასობრივი ანალიზია. მარქსი ეკონომიკურ ურთიერთობებს ძირითადად ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის დაპირისპირებით ხსნის, თუმცა ადამიანი ერთდროულად რამდენიმე ეკონომიკურ როლში შეიძლება იმყოფებოდეს, იყოს მუშაკი და ამავე დროს აქციების მფლობელი, დასაქმებული და ამავე დროს მცირე ბიზნესის მფლობელი, დღეს მუშაკი და ხვალ მეწარმე, ან ერთ კომპანიაში დასაქმებული და მეორეში, ინვესტორი. ამიტომ ეკონომიკური ინტერესები ყოველთვის ორ მკაფიოდ განცალკევებულ კლასად არ იყოფა.

უფრო მეტიც, მუშაკსა და დამსაქმებელს შორის ურთიერთობა ყოველთვის მხოლოდ დაპირისპირება არ არის, ორივეს შეიძლება ჰქონდეს საერთო ინტერესი, რომ კომპანია წარმატებული იყოს: თუ კომპანია გაიზარდა, შესაძლოა დასაქმებაც გაიზარდოს; თუ პროდუქტიულობა გაიზარდა, შესაძლოა გაიზარდოს ხელფასებიც; თუ კომპანია გაკოტრდა, ზარალს ორივე მხარე განიცდის. ეს არ ნიშნავს, რომ მათი ინტერესები ყოველთვის იდენტურია, ხელფასზე მოლაპარაკება, მაგალითად, კონფლიქტური შეიძლება იყოს, მაგრამ ინტერესთა ნაწილობრივი კონფლიქტი არ ნიშნავს, რომ მათი ურთიერთობა აუცილებლად ექსპლუატაციაზეა დაფუძნებული.

ეკონომიკური კრიზისები

ეკონომიკურ კრიზისებზეც ღირს შეჩერება. მარქსისტული თეორია კაპიტალიზმის კრიზისებს სისტემის შინაგან წინააღმდეგობებთან აკავშირებს, თუმცა კრიზისების სხვა ახსნაც არსებობს. მიზესისა და ჰაიეკის ტრადიციაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საკრედიტო გაფართოებას, საპროცენტო განაკვეთებსა და კაპიტალის სტრუქტურაში წარმოქმნილ დამახინჯებებს. თუ საპროცენტო განაკვეთი ხელოვნურად მცირდება და ეკონომიკაში დიდი რაოდენობით ახალი კრედიტი შედის, მეწარმეებს შეიძლება გაუჩნდეთ შთაბეჭდილება, თითქოს რეალური დანაზოგი იმაზე მეტია, ვიდრე სინამდვილეშია. ამის შედეგად იწყება გრძელვადიანი საინვესტიციო პროექტები, იზრდება მშენებლობა, ინვესტიციები და აქტივების ფასები, იქმნება ბუმის განცდა. მაგრამ თუ ამ ინვესტიციების დასაფინანსებლად საკმარისი რეალური რესურსი არ არსებობს, საბოლოოდ აღმოჩნდება, რომ ზოგი პროექტი ვერ დასრულდება ან ვერ იქნება მომგებიანი. მაშინ იწყება კორექცია, კომპანიები იძულებულნი ხდებიან შეამცირონ ინვესტიციები, ზოგი პროექტი ჩერდება, აქტივების ფასები ეცემა, უმუშევრობა იზრდება და ეკონომიკა რეცესიაში შედის. ამ შემთხვევაში რეცესია შეიძლება აღვიქვათ არა როგორც კაპიტალიზმის „აუცილებელი შინაგანი წინააღმდეგობის“, არამედ ადრე დაგროვილი შეცდომების კორექციის შედეგად.

ეს მნიშვნელოვანია, რადგან კრიზისის არსებობა თავისთავად არ ამტკიცებს კაპიტალიზმის მცდარობას, თუ რომელიმე სისტემაში შეცდომა ხდება, საჭიროა გავარკვიოთ, რატომ მოხდა ის. საბაზრო ეკონომიკაში

ფასები, მოგება და ზარალი ამ შეცდომების აღმოჩენას უწყობს ხელს: თუ პროექტი წამგებიანია, მისი გაგრძელება უკვე რაციონალური აღარ არის; თუ მოთხოვნა შეიცვალა, წარმოების სტრუქტურაც უნდა შეიცვალოს; თუ ტექნოლოგია მოძველდა, კაპიტალი სხვა მიმართულებით უნდა გადავიდეს. კრიზისი ამ თვალსაზრისით შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ადრე წარმოქმნილი არასწორი ინვესტიციების კორექციის პერიოდი.

მომხმარებელი და ფასების როლი ინფორმაციის გადაცემაში

მარქსიზმის კიდევ ერთი პრობლემაა კაპიტალიზმის მხოლოდ წარმოების მხრიდან დანახვაა, თუმცა ეკონომიკაში გადამწყვეტ როლს მომხმარებელი ასრულებს. პროდუქტის შექმნა თავისთავად არ ნიშნავს, რომ ის ღირებულია, მწარმოებელს შეიძლება ეგონოს, რომ რაღაც პროდუქტი შესანიშნავია, მაგრამ საბოლოო სიტყვას მომხმარებელი ამბობს: თუ ის არ ყიდულობს პროდუქტს, მეწარმე ზარალდება.

მომხმარებელი ყოველდღიურად მილიონობით არჩევანს აკეთებს და განსაზღვრავს, რომელი პროდუქტი დარჩება ბაზარზე და რომელი გაქრება. ამიტომ რესურსების განაწილება ბაზარზე მხოლოდ

კაპიტალისტების გადაწყვეტილება არაა, ის მილიონობით მომხმარებლის არჩევანის შედეგიცაა.

სწორედ ამიტომ ბაზრის ფასები არ არის მხოლოდ „კაპიტალისტების მიერ დაწესებული რიცხვები“. ფასი წარმოიქმნება უამრავი ინდივიდუალური გადაწყვეტილების ურთიერთქმედებით, ვიღაც ყიდულობს, ვიღაც ყიდის, ვიღაც აწარმოებს ან წყვეტს წარმოებას, ვიღაც ინვესტიციას აკეთებს ან გამოდის მისგან, ვიღაც ახალ ტექნოლოგიას იყენებს, ვიღაც ძველს აგრძელებს. ამ მილიონობით გადაწყვეტილების ურთიერთქმედება ქმნის იმ ფასებს, რომლებსაც შემდეგ სხვები საკუთარი გადაწყვეტილებების მისაღებად იყენებენ.

აქ ჰაიეკის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი იდეა ჩნდება, ფასები ცოდნის გადაცემის მექანიზმია. ადამიანს არ სჭირდება სრული ცოდნა იმის შესახებ, თუ რატომ შეიცვალა ფასი: თუ პურის ფასი გაიზარდა, მომხმარებელმა

შეიძლება უბრალოდ იცოდეს, რომ პური გაძვირდა, სულაც არ ესმოდეს რა ხდება ხორბლის საერთაშორისო ბაზარზე, საწვავის ფასზე, მოსავლის რაოდენობასა თუ ლოჯისტიკურ პრობლემებზე. ფასის ცვლილება მისი ქცევის შესაცვლელად საკმარისი სიგნალია, ის შეიძლება ნაკლებ პურს ყიდულობდეს, მწარმოებელმა კი უფრო მეტი პურის წარმოება გადაწყვიტოს. ასე ხდება ინფორმაციის გადაცემა ადამიანებს შორის, რომელთაც ერთმანეთთან პირდაპირი კომუნიკაციაც კი არ აქვთ.

ბაზარი, ამრიგად, არ არის ქაოსი იმ გაგებით, როგორც სოციალისტური კრიტიკა ხანდახან წარმოაჩენს. ბაზარი არ ნიშნავს, რომ ყველა ადამიანი სრულიად დამოუკიდებლად მოქმედებს და კოორდინაცია არ არსებობს, პირიქით, ბაზარი კოორდინაციის მექანიზმია, უბრალოდ ეს კოორდინაცია ცენტრალური ბრძანებით კი არა, ფასების, კონტრაქტების, კონკურენციის, მოგებისა და ზარალის მეშვეობით ხდება.

საკუთრება, პასუხისმგებლობა და გადაწყვეტილების მიმღები

ამ ყველაფრის ფონზე სოციალიზმის პრობლემა კიდევ უფრო ნათელი ხდება. თუ კერძო საკუთრება გაუქმდა, გაქრა წარმოების საშუალებების თავისუფალი გაცვლა; თუ ეს გაცვლა გაქრა, რთულდება ან შეუძლებელი ხდება საბაზრო ფასების წარმოქმნა; ფასების გარეშე რთულდება კაპიტალური რესურსების ალტერნატიული გამოყენებების შედარება, ხოლო ამის გარეშე, რაციონალური ეკონომიკური კალკულაცია. თუ ცენტრალურ დამგეგმავს ამისთვის საჭირო ინფორმაცია არ გააჩნია, ეს ცოდნა კი მილიონობით ადამიანშია გაფანტული, ცენტრალური დაგეგმვის სისტემას ფუნდამენტალური პრობლემა ექმნება. სოციალიზმის პრობლემა, ამრიგად, არ არის უბრალოდ ის, რომ „სახელმწიფო ცუდი მენეჯერია", სახელმწიფოს შეიძლება ჰყავდეს ძალიან კარგი მენეჯერები, საუკეთესო კომპიუტერები და უზარმაზარი სტატისტიკური მონაცემები, მაგრამ მაინც რჩება კითხვები: რა ფასებით უნდა შედარდეს ალტერნატიული კაპიტალური პროექტები? საიდან მოდის ეს ფასები? ვინ აღმოაჩენს ახალ შესაძლებლობებს? ვინ იღებს მოგება-ზარალს და ვინაა პასუხისმგებელი შეცდომაზე? ვინ წყვეტს, რომელი რესურსის გამოყენებაა უფრო ღირებული?

აქ რისკისა და პასუხისმგებლობის საკითხიც წამოიჭრება. კერძო მესაკუთრეს საკუთარი გადაწყვეტილების შედეგი პირდაპირ ეხება, ცუდი ინვესტიციის შემთხვევაში საკუთარ ფულს კარგავს, კარგი გადაწყვეტილების შემთხვევაში მოგებას იღებს, რაც ინფორმაციის მოძიებისა და გადაწყვეტილების გაუმჯობესებისთვის ძლიერ სტიმულს ქმნის. ბიუროკრატიულ სისტემაში კი გადაწყვეტილების მიმღები სხვისი

რესურსით მოქმედებს, თუ პროექტი ჩავარდა, დანაკარგი მთლიანად საზოგადოებრივ ბიუჯეტზე შეიძლება გადავიდეს, წარმატების შემთხვევაში კი, სარგებელი კონკრეტულ ადამიანებზე. ამიტომ საკუთრებისა და პასუხისმგებლობის კავშირი ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებაში დიდი მნიშვნელობისაა.

ამავე მიზეზით სოციალიზმის კრიტიკა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ საბჭოთა კავშირის მაგალითით. საბჭოთა გამოცდილება მნიშვნელოვანი ემპირიული საილუსტრაციოა, თუმცა მიზესის არგუმენტი უფრო ფუნდამენტალურია: თუნდაც არსებობდეს კეთილსინდისიერი, განათლებული და კომპეტენტური ცენტრალური დამგეგმავების ჯგუფი, მათ მაინც უწევთ გადაწყვეტილება, თუ როგორ შეადარონ ერთმანეთს შეზღუდული რესურსების ალტერნატიული გამოყენებები. თუ მათ არ გააჩნიათ საბაზრო ფასები კაპიტალურ საქონელზე, პრობლემა არა მათ პირად ინტელექტში, არამედ იმ ინსტიტუტშია, რომლის ფარგლებშიც გადაწყვეტილება უნდა მიიღონ.

მარქსიზმის კრიტიკისას საბოლოოდ ისევ საკუთრების საკითხთან მივდივართ. მარქსისთვის კერძო საკუთრება კაპიტალისტური ექსპლუატაციის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია, მაგრამ მისი გაუქმება სიმცირეს, ადამიანთა განსხვავებულ სურვილებს, რესურსების შეზღუდულობასა და არჩევანის აუცილებლობას არ აქრობს, არც კონფლიქტის შესაძლებლობას. უბრალოდ ჩნდება კითხვა: ვინ მიიღებს გადაწყვეტილებას? თუ კერძო მესაკუთრე აღარ იღებს გადაწყვეტილებას, ამას სხვა ადამიანი ან ორგანო გააკეთებს. საკუთრების გაუქმება, ამრიგად,

არა გადაწყვეტილებების გაუქმებას, არამედ გადაწყვეტილების მიღების უფლების გადანაწილებას ნიშნავს.

დასკვნითი მიმოხილვა

მარქსიზმის მიმართ ყველაზე ფუნდამენტალური კრიტიკა შეიძლება რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებულ საკითხამდე დავიყვანოთ:

1. ღირებულება არ არის ობიექტური ნივთიერება, საქონელში შრომის სახით ჩადებული, არამედ იგი ადამიანის სუბიექტური შეფასებიდან წარმოიქმნება.

2. თუ ღირებულება სუბიექტურია, surplus value ვერ ჩაითვლება ავტომატურად მუშაკის მიერ შექმნილ და კაპიტალისტის მიერ მითვისებულ „ობიექტურ ღირებულებად“.

3. წარმოება დროში მიმდინარეობს, კაპიტალისტი კი დღევანდელ რესურსებს მომავალ შედეგზე ცვლის, ამიტომ კაპიტალის შემოსავლის ახსნა მხოლოდ ექსპლუატაციით არასაკმარისია.

4. მეწარმე გაურკვევლობის რისკს იღებს, და მისი მოგება შეიძლება სწორი პროგნოზისა და შესაძლებლობის აღმოჩენის შედეგი იყოს.

5. ბაზარი მხოლოდ არსებული რესურსების განაწილების მექანიზმი არაა, ის აღმოჩენის პროცესია, რომელშიც მეწარმეები მუდმივად ახალ შესაძლებლობებს პოულობენ.

6. კაპიტალი მუშაკის მხოლოდ მოწინააღმდეგე ძალა არ არის, ის ზრდის შრომის პროდუქტიულობას და შეიძლება რეალური ხელფასების ზრდის მნიშვნელოვანი წყარო იყოს.

7. ნებაყოფლობითი გაცვლა ნულოვანი ჯამის თამაში არ არის, მისგან ორივე მხარემ შეიძლება უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდეს.

8. ეკონომიკური უთანასწორობა თავისთავად ექსპლუატაციის მტკიცებულება არ არის, ეს ორი ცნება ერთი და ერთმანეთისგან განსხვავდება.

9. კერძო საკუთრების გაუქმება არ აგვარებს რესურსების გადაწყვეტილების პრობლემას, არამედ უბრალოდ ცვლის გადაწყვეტილების მიმღებს.

10. წარმოების საშუალებების კერძო საკუთრებისა და მათი თავისუფალი გაცვლის გარეშე ეკონომიკური კალკულაციის პრობლემა ჩნდება.

11. ცენტრალურ დამგეგმავს არ შეუძლია ფლობდეს იმ ცოდნას, რომელიც ეკონომიკაში მილიონობით ინდივიდშია გაფანტული.

12. ფასები მხოლოდ ფულის რაოდენობრივი გამოხატულება არ არის, ისინი ეკონომიკური სიგნალებია, რომლებიც გაფანტულ ინფორმაციას გადასცემენ.

13. მოგება და ზარალი აჩვენებს, თუ რამდენად წარმატებული აღმოჩნდა რესურსების გამოყენება მომხმარებელთა მოთხოვნებთან მიმართებით.

14. კონკურენცია მუდმივად ქმნის ახალ კომპანიებსა და ტექნოლოგიებს, ხოლო ძველთ ემუქრება, ამიტომ კაპიტალიზმის დინამიკა მხოლოდ კაპიტალის კონცენტრაციით ვერ აიხსნება.

15. ეკონომიკური კრიზისები ავტომატურად არ ამტკიცებს კაპიტალიზმის შინაგან წინააღმდეგობას, საჭიროა კრიზისის მიზეზების ანალიზი და იმის გააზრება, თუ როგორ ქმნის მონეტარული და საკრედიტო პოლიტიკა დამახინჯებებს წარმოების სტრუქტურაში.

ამიტომ მარქსიზმის წინააღმდეგ ყველაზე ძლიერი არგუმენტი არ არის უბრალოდ ის, რომ „სოციალისტური ქვეყნები ცუდად ცხოვრობდნენ“ ან რომ „კაპიტალისტურ ქვეყნებში უფრო მაღალი შემოსავლებია“. ეს ისტორიული არგუმენტები მნიშვნელოვანია, მაგრამ უფრო ღრმა თეორიული პრობლემის მხოლოდ ნაწილს წარმოადგენს, მთავარი პრობლემა თავად ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებაშია. მარქსიზმი ცდილობს კაპიტალისტური ეკონომიკის ახსნას კლასობრივი ურთიერთობებით, შრომითი ღირებულებითა და surplus value-ით, მაგრამ ეკონომიკური რეალობა გაცილებით რთულია: ადამიანები საქონელს განსხვავებულად აფასებენ, რესურსები შეზღუდულია, წარმოება დროში მიმდინარეობს, მეწარმეები გაურკვევლობის პირობებში მოქმედებენ, მომხმარებლები არჩევანს აკეთებენ, კაპიტალი პროდუქტიულობას ზრდის, ფასები ინფორმაციას გადასცემენ, მოგება და ზარალი შეცდომებსა და წარმატებებს აჩვენებენ, კონკურენცია ახალ შესაძლებლობებს ქმნის, ხოლო კერძო საკუთრება განსაზღვრავს, ვის აქვს კონკრეტულ რესურსზე გადაწყვეტილების მიღების უფლება. ამ ყველაფრის ერთმანეთთან კოორდინაცია საბაზრო პროცესში ხდება.

სოციალიზმის პრობლემა სწორედ აქ ხდება ყველაზე მკაფიო. სოციალისტური პროექტი ცდილობს წარმოების ძირითადი საშუალებების კერძო კონტროლის გაუქმებას და მათ ჩანაცვლებას საზოგადოებრივი ან სახელმწიფო კონტროლით, მაგრამ ამით ეკონომიკის ფუნდამენტალური პრობლემები არ უქმდება, რესურსები კვლავ შეზღუდულია, ადამიანებს კვლავ განსხვავებული მიზნები აქვთ, საჭიროა გადაწყდეს, რა, როგორ და სად უნდა იწარმოოს, საიდან წავიდეს ინვესტიცია, რომელი პროექტი

გაგრძელდეს და რომელი შეწყდეს. და სწორედ ამისთვისაა საჭირო ეკონომიკური კალკულაცია: თუ ამ გადაწყვეტილებებს ბაზარი აღარ იღებს, ისინი მაინც ვიღაცამ უნდა მიიღოს, მაგრამ ცენტრალურ დამგეგმავს არ გააჩნია ის ცოდნა, რომელიც მილიონობით ინდივიდშია გაფანტული, ხოლო წარმოების საშუალებების თავისუფალი საბაზრო გაცვლის გარეშე არ არსებობს ის ფასები, რომლებიც კაპიტალური რესურსების ალტერნატიული გამოყენების შესადარებლადაა საჭირო. პრობლემა, ამრიგად, არა უბრალოდ „არაეფექტიან სახელმწიფოშია“, არამედ იმაში, რომ სოციალიზმი ცდილობს შეცვალოს ის ინსტიტუციური მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც ეკონომიკური ცოდნა და რესურსების გამოყენების შესაძლებლობები საერთოდ ვლინდება.

საბოლოოდ, მარქსიზმის ყველაზე ფუნდამენტური შეცდომა შესაძლოა სწორედ აქ იმალება. მარქსი კაპიტალისტურ ეკონომიკაში კლასებს, ექსპლუატაციასა და მითვისებულ surplus value-ს ხედავს, მაგრამ იმავე პროცესში ასევე შესამჩნევია ადამიანების სუბიექტური შეფასებები, ნებაყოფლობითი გაცვლა, დროითი არჩევანი, კაპიტალის დაგროვება, მეწარმეობრივი აღმოჩენა, რისკი, მოგება, ზარალი, კონკურენცია, ფასების მიერ ინფორმაციის გადაცემა და ეკონომიკური კალკულაცია. ერთი და იგივე ეკონომიკური სისტემა სრულიად განსხვავებულად შეიძლება დაინახო იმის მიხედვით, რა თეორიული ჩარჩოთი უყურებ მას: თუ წინასწარ მიგაჩნია, რომ შრომა ღირებულების ერთადერთი წყაროა, კაპიტალისტის მოგება ბუნებრივად გამოჩნდება როგორც სხვისი შრომის მითვისება; თუ ღირებულებას სუბიექტურად განიხილავ და წარმოების დროში გაწელილ სტრუქტურას ითვალისწინებ, მოგება უკვე მეწარმეობის, დროითი

პრეფერენციისა და გაურკვევლობის შედეგადაც შეიძლება წარმოგვიდგეს. თუ წინასწარ მიგაჩნია, რომ კერძო საკუთრება კლასობრივი ჩაგვრის ინსტიტუტია, მისი გაუქმება პრობლემის გადაწყვეტად მოგეჩვენება; მაგრამ თუ კითხულობ, როგორ უნდა გადაწყდეს რესურსების გამოყენებაზე არსებული კონფლიქტი და როგორ უნდა განხორციელდეს ეკონომიკური კალკულაცია, კერძო საკუთრების გაუქმება თავად ქმნის ახალ პრობლემებს. თუ ბაზარს მხოლოდ ქაოსად აღიქვამ, ცენტრალური დაგეგმვა წესრიგის შექმნად მოგეჩვენება; მაგრამ თუ ხედავ, რომ ფასები, მოგება, ზარალი და კონკურენცია ერთმანეთთან მილიონობით ადამიანის გადაწყვეტილებას აკავშირებს, ბაზარი უკვე არა ქაოსად, არამედ დეცენტრალიზებული კოორდინაციის მექანიზმად წარმოგვიდგება.

სწორედ აქ ვლინდება მარქსიზმის ყველაზე სერიოზული სისუსტე. მისი პრობლემა მხოლოდ ის არაა, რომ სოციალიზმი პრაქტიკაში ცუდად განხორციელდა, უფრო ღრმა პრობლემა ისაა, რომ სოციალისტურმა პროექტმა უნდა უპასუხოს კითხვას, რომელიც მარქსისტულ კრიტიკაში ხშირად უკანა პლანზეა გადატანილი: როგორ უნდა მოხდეს ეკონომიკური კალკულაცია, როდესაც წარმოების საშუალებების საბაზრო საკუთრება და მათი თავისუფალი გაცვლა აღარ არსებობს? როგორ უნდა განისაზღვროს, რა არის რესურსის ყველაზე ღირებული გამოყენება? როგორ უნდა გადაეცეს მილიონობით ადამიანის გაფანტული ცოდნა გადაწყვეტილების მიმღებთ? როგორ უნდა აღმოაჩინოს სისტემამ ის შესაძლებლობები, რომლებიც წინასწარ არავის ჰქონდა სრულად გააზრებული? ვინ უნდა მიიღოს ზარალი არასწორი გადაწყვეტილების შემთხვევაში და ვინ მოგება სწორის? ვინ უნდა განსაზღვროს, რა უნდა იწარმოოს? და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია,

როგორ უნდა მოხდეს ეს ყველაფერი ისე, რომ ცენტრალურ ორგანოს ეკონომიკის ყველა დეტალის ცოდნა არ დასჭირდეს?

საბაზრო ეკონომიკის პასუხი ამ პრობლემაზე არ არის ის, რომ არსებობს ერთი ადამიანი, რომელმაც ყველა პასუხი იცის, პირიქით, არავინ იცის ყველა პასუხი. სწორედ ამიტომ არსებობს კონკურენცია, საკუთრება, ფასები, მოგება, ზარალი და მეწარმეობა: არცერთ მეწარმეს, მომხმარებელს, მუშაკს თუ ინვესტორს არ გააჩნია მთელი ეკონომიკის ცოდნა, მაგრამ ფასების სისტემის საშუალებით ეს ადამიანები მაინც ახერხებენ ერთმანეთთან კოორდინაციას. ეკონომიკური თავისუფლების მთავარი არგუმენტი, ამრიგად, მხოლოდ ის არაა, რომ ადამიანს „თავისუფლება უნდა ჰქონდეს“, უფრო ღრმა არგუმენტი ისაა, რომ დეცენტრალიზებული საკუთრება და საბაზრო გაცვლა საშუალებას იძლევა, გამოყენებულ იქნეს ისეთი ცოდნა და გადაწყვეტილებები, რომელთა ცენტრალიზებული თავმოყრა შეუძლებელია.

ამიტომ მარქსიზმის წინააღმდეგ მთავარი კითხვა საბოლოოდ არც ის არის, კაპიტალისტი კარგია თუ ცუდი, მუშაკი ექსპლუატირებულია თუ არა, ან რამდენად თანაბრად არის განაწილებული შემოსავალი. მთავარი კითხვაა: როგორ მუშაობს ეკონომიკა? როგორ იქმნება ღირებულება? როგორ ხდება რესურსების განაწილება, შეცდომების და ახალი შესაძლებლობების აღმოჩენა, მილიონობით ადამიანის ცოდნის კოორდინაცია, და როგორ უნდა გადაწყდეს, სად არის შეზღუდული რესურსის ყველაზე ღირებული გამოყენება? ამ კითხვებზე პასუხის გარეშე სოციალიზმის იდეა ვერ დარჩება მხოლოდ „კაპიტალიზმის უფრო სამართლიან ალტერნატივად“, მან პირველ რიგში უნდა უპასუხოს იმას, თუ როგორ უნდა იმუშაოს თავად ეკონომიკამ.

და სწორედ აქედან იწყება მარქსიზმის ყველაზე ძლიერი კრიტიკა: კაპიტალიზმის წინააღმდეგ მიმართულმა თეორიამ ვერ გააუქმა ეკონომიკის ფუნდამენტალური პრობლემები, სიმცირე, არჩევანი, დრო, გაურკვევლობა, ცოდნის გაფანტულობა და ეკონომიკური კალკულაციის აუცილებლობა. რესურსები შეზღუდულია, ადამიანების მიზნები განსხვავებულია, მომავალი გაურკვეველია, ცოდნა გაფანტულია, და ეკონომიკური სისტემა, რომელიც ამ ყველაფრის ერთ ცენტრალურ გეგმაში მოქცევას ცდილობს, წინასწარვე აწყდება პრობლემებს, რომელთა გადაჭრაც მხოლოდ კეთილი განზრახვით, სტატისტიკით ან ტექნოლოგიით შეუძლებელია.

მარქსიზმის კრიტიკა, ამრიგად, არ არის მხოლოდ მარქსის მიერ კაპიტალიზმის აღწერაში დაშვებული კონკრეტული შეცდომების ჩამონათვალი, ეს არის უფრო ფუნდამენტური კითხვა იმის შესახებ, თუ რა არის ეკონომიკა საერთოდ. და სწორედ ამ თვალსაზრისით მარქსის ყველაზე დიდი პრობლემა შესაძლოა ის იყოს, რომ მან კაპიტალისტურ ეკონომიკაში დაინახა ექსპლუატაცია იქ, სადაც უფრო ღრმა ანალიზი გაცილებით რთულ პროცესს ავლენს, ადამიანების სუბიექტური შეფასებების, კერძო საკუთრების, გაცვლის, კაპიტალის, მეწარმეობის, ფასების, მოგების, ზარალისა და გაფანტული ცოდნის მუდმივ ურთიერთქმედებას.

ბიბლიოგრაფია

Böhm-Bawerk, Eugen von. *Capital and Interest: A Critical History of Economical Theory*. 1884.

Böhm-Bawerk, Eugen von. *The Positive Theory of Capital*. 1889.

Böhm-Bawerk, Eugen von. *Karl Marx and the Close of His System*. 1896.

Hayek, Friedrich A. *Individualism and Economic Order*. 1948.

Hayek, Friedrich A. *The Use of Knowledge in Society*. 1945.

Hoppe, Hans-Hermann. *A Theory of Socialism and Capitalism*. 1989.

Kirzner, Israel M. *Competition and Entrepreneurship*. 1973.

Menger, Carl. *Principles of Economics*. 1871.

Mises, Ludwig von. *Human Action: A Treatise on Economics*. 1949.

Mises, Ludwig von. *Socialism: An Economic and Sociological Analysis*. 1922.

Rothbard, Murray N. *Man, Economy, and State*. 1962.

Rothbard, Murray N. *Power and Market*. 1970.

Schumpeter, Joseph A. *Capitalism, Socialism and Democracy*. 1942.